

რეინკარნაცია ანუ ვისი ს(ხე)ული გსურს?

არ არსებობს ქვეყნად რელიგიური მიმდინარეობა, რომელშიც მეტ-ნაკლებად არ ეჩინა თავი რეინკარნაციის იდეას. ის კი არა და, თანამედროვე მეცნიერებაც ვერ უვლის გვერდს ამ საკითხს. დაწყებული ფილოსოფიიდან, ფსიქოლოგიის, ბიოლოგიის, ზევრი სხვა მეცნიერული დარგის გავლით, თვით თანამედროვე ფიზიკამდე, თითქმის ყველგან გვხვდება რეინკარნაციის იდეის გამოძახილი.

"დილის გაზეთის" რედაქციამ გადაწყვიტა, დაწვრილებით და საქმის ცოდნით უამბოს თავის მკითხველს ამ და სხვა თემებზე, რომლებიც აღელვებს დღევანდელ მეცნიერებას და, ეგრეთ წოდებულ, "სასაზღვრო ზოლში" იმყოფება, იქ, სადაც შეუძლებელია ამა თუ იმ ფენომენის ცალსახა დადასტურება ან უარყოფა. ცნება

რეინკარნაცია ნიშნავს კვლავ ამქვეყნად მოსვლას. "რე" პრეფიქსი ხელახალს, განმეორებადს აღნიშნავს, ინ ში-ს, კარნ ფუძე კი ხორცია. ამ ტერმინის ზუსტი ქართული შესაბამისობა კვლავ-გან-ხორციელება იქნებოდა, თუმცა, მკითხველი რომ არ დავაბნოთ, ქვემოთ ტერმინ რეინკარნაციას ვიხმართ. ამ ცნებით იგულისხმება შემდეგი მოვლენა. ცალკეული შეხედულებების თანახმად, როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, მისი ერთი, პრაქტიკულად უკვდავი ნაწილი საიქიოდან კვლავ ბრუნდება, ახალ სხეულში სახლდება და ვითომც აქ არაფერია, კიდევ ერთხელ ცხოვრობს. ეს პროცესი მრავალჯერ შეიძლება განმეორდეს. ამგვარ მოდელს ზოგადად სულის გადასახლებადაც უწოდებენ, რადგანაც საბოლოო ჯამში, ერთი სხეულიდან მეორეში გადასვლა-გადასახლებაზეა საუბარი. მე განგებ არ ვახსენე, თუ ზუსტად რის გადასახლებაზე საუბრობენ რეინკარნაციის მომხრენი. ერთნი ამბობენ, რომ ის, რაც გადასახლდება, ანუ გადად-გადმოდის, არის სული, ადამიანის ესენცია, მისი არსი. მეორენი მიიჩნევენ, რომ გადასახლდება ის, რაც ზიგმუნდ ფროიდმა ქვეცნობიერის ან არაცნობიერის ცნებით დაამკვიდრა ფსიქოლოგიაში, ხოლო სინამდვილეში კი ფილოსოფოს ედუარდ ჰარტმანისაგან წარმოდგება. მესამენი საერთოდ მიიჩნევენ, რომ იმას, რაც მოძრაობს და სხეულებს იცვლის, "მე" უნდა ვუწოდოთ. ეს არის ინდივიდი (და არა პიროვნება, რადგანაც პიროვნებას პირთან, სახესთან აქვს კავშირი, სახე კი

მიწიერია), რომელიც რჩება, როდესაც სხეული კვდება. წარმავალი მიდის, სამუდამო კი რჩება და კვლავ ირჩევს სხეულს. მეოთხენი საერთოდ უარყოფენ იმგვარი ფენომენების არსებობას, როგორც სული ან "მე"-ა და მიიჩნევენ, რომ ჩვენი სიკვდილის შემდეგ ჩვენი ცნობიერება დედამიწის ან კოსმოსური ცნობიერების უზარმაზარ ოკეანეს უერთდება და ჩვენი ამქვეყნიური გამოცდილება იქ გროვდება. შემდგომში, როდესაც ახალი ადამიანი ჩაისახება, ამ გამოცდილებებიდან, თითქოს ბიბლიოთეკა იყოსო, სხვადასხვა წიგნს - გამოცდილებას დაისესხებს, თავისი ცხოვრებით გაამდიდრებს და მიწიერი არსებობის დასასრულ უკან უბრუნებს ამავე საცავს. მოკლედ, რეინკარნაციის განსაზღვრა ზოგადად ადამიანის რაღაც ნაწილის არამატერიალურ არსებობას ნიშნავს სიკვდილის შემდეგ, საიდანაც ეს ნაწილი კვლავ უბრუნდება სააქაოს და ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობს.

ისტორია რეინკარნაცია ან მისი მსგავსი შეხედულებები უკვე პირველყოფილ ტომებს ჰქონდათ. არქეოლოგიური გათხრებისას მეცნიერები ხშირად აწყდებიან სამარხებს, რომელთა მოწყობაც მეტყველებს მათი მომწყობების რწმენაზე, რომ გარდაცვლილი ადამიანი ამჯერად მხოლოდ ფიზიკურად მოკვდა და მისი ესენცია კვლავ დაუბრუნდება სააქაოს. რეინკარნაციის იდეას, როგორც ჩვენ დღეს მას ვიცნობთ, არიელ ბრაჰმანებს უნდა ვუმაღლოდეთ. ტომები, რომლებიც ქრისტემდე ორი ათასი წლის წინათ დასახლდნენ ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთსა და ახლანდელი ირანის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, სულთა გადასახლების იდეას აღიარებდნენ. შემდგომში ბრაჰმანთა რელიგიიდან ჰინდუიზმი შეიქმნა, ხოლო მოგვიანებით კი (ამ ამბებიდან ათას ოთხასი წლის მერე!) მაჰავირას მოღვაწეობით, ჯაინიზმი დაარსდა, ხოლო ბოდჰისათვა შაკიამუნის ქადაგების და მისი გან-ნათლების (ამას ნიშნავს ბუდდჰა ანუ "განათლებული") შედეგად კი - ბუდიზმი. ჯაინიზმიცა და ბუდიზმიც მთლიანად იზიარებენ რეინკარნაციის იდეას. ამ უკანასკნელ რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობაში ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა რეინკარნაციის იდეა და ამიტომაც მასზე ქვემოთ, არსობრივი საკითხების განხილვისას, განსაკუთრებით შევჩერდებით. რეინკარნაციის ელემენტები მრავლად იყო ძველი ეგვიპტელების შეხედულებებშიც, ზოროასტრიზმშიც, პირველყოფილი ხალხების რწმენებშიც და სხვა რელიგიურ თუ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობებში. რეინკარნაციისა სწამდათ ჩრდილოამერიკელ ინდიელებს, ცენტრალური ამერიკის ტლასკალანებს, აფრიკელ ჰიორუბას, ავსტრალიელ აბორიგენებს და სხვა ტომებს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. ძველ საბერძნეთში რეინკარნაციის მიმდევართაგან განსაკუთრებულ აღნიშვნას "ცოდნის მოყვარულნი" - ფილოსოფოსები პითაგორა და პლატონი იმსახურებენ. მათი მეტემფსიქოზი, ანუ სულთა გადასახლება საკმაოდ გავრცელებული შეხედულება იყო ანტიკურ სამყაროში. ამ შეხედულებებს მოგვიანებით პლოტინიც იზიარებდა.

რეინკარნაციამ, როგორც ებრაელთა რელიგიაში, ისევე შემდგომში ქრისტიანობაშიც იჩინა თავი, თუმცა, ძნელია იმის დადგენა, თუ საიდან მოდიოდა ეს გავლენა. ბევრი მეცნიერი მის ფესვებს ორფისტული სექტის შეხედულებებში, ძველ ეგვიპტელებთან ან ძველ არიელ ტომებთან პოულობს. ებრაულ რელიგიურ რწმენაში რეინკარნაციის იდეა, უმთავრესად, მოგვიანებით, კაბალის, - საიდუმლო სწავლების მიმდევრებთან გვხვდება. რაც შეეხება ქრისტიანულ რელიგიას, აქ რეინკარნაციის რწმენა ცალკეულ სექტებს, მაგალითად, მანიქეველებს, კათარიანელებს, ნესტორიანელებს ან დრუზებს ახასიათებდათ. ქრისტიანული გნოსტიკური მსოფლმხედველობის არაერთ მიმდევარს მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია სულების გადასახლება რეალურ მოვლენად. ქრისტიანულ რელიგიურ ავტორთაგან ამ იდეას ორიგენე იზიარებდა, რომლის ნაშრომებიცა და შეხედულებებიც თავიდან, 325 წლის ნიკეას, ხოლო საბოლოოდ 553 წლის კონსტანტინეპოლის მეხუთე საეკლესიო კრებამ დაგმო და გაანადგურა. ამით რეინკარნაცია თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან, ყოველ შემთხვევაში, მისი მთავარი ნაკადებიდან. არც კათოლიკეებს, არც პროტესტანტებს და არც მართლმადიდებლებს არ სწამთ ამქვეყნად კვლავ და კვლავ მოსვლისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორიგენეს ტრადიციაში მდგომი ბევრი ქრისტიანი ავტორი მიიჩნევს, რომ რეინკარნაცია ქრისტიანობისათვის ორგანული იდეაა და მისი მოწყვეტა ქრისტიანული აზროვნების სამყაროდან დაუშვებელი შეცდომაა. ასეთი ავტორები ხშირად ახდენენ სახარების ციტირებასაც, სადაც მრავლად არის პირდაპირი თუ ირიბი მითითება სულის მრავალჯერად მოსვლაზე სააქაოს. ამის დასტურად თუნდაც ბიბლიის იმ ფრაზის მოყვანა შეიძლება, სადაც ნაზარეველი, ილიას განსხეულებად მიიჩნევს იოანეს (მათ. 17, 12-13).

რეინკარნაცია ევროპაში არასდროს დავიწყებით, თუმცა, რელიგიური აკრძალვის გამო, იგი ისე არ ყოფილა გავრცელებული, როგორც აზიაში. შუა საუკუნეებშიც და მოგვიანებითაც, რეინკარნაციას მრავლად ჰყავდა ევროპელი მიმდევრები. მათგან შეიძლება ვიკლიფი, ცვინგლი, ტელეზიო, ბრუნო დავასახელოთ. ახალმა დრომ აზრის მეტი თავისუფლება მოიტანა და უკვე XVII საუკუნიდან მოყოლებული, რეინკარნაციის იდეა ხშირად გვხვდება მეცნიერებთან, მწერლებთან, რელიგიურ მოღვაწეებთან. სულთა გადასახლების სხვადასხვა ვარიანტისა სწამდათ ლაიბნიცს, ბონეს, ჰერდერს, ლესინგს, გოეთეს, შილერს, მოგვიანებით შოპენჰაუერს, მეტერლინკს და უამრავ სხვა ცნობილ პიროვნებას. განსაკუთრებული აღზევება დასავლეთის სამყაროში ამ შეხედულებამ ჯერ ელენა ბლავატსკის თეოსოფიით XIX საუკუნის დასასრულს, ხოლო შემდგომ რუდოლფ შტაინერის ანთროპოსოფიით განიცადა. XX საუკუნეში რეინკარნაცია მრავალი ახალი მისტიკური სწავლების შემადგენელ ელემენტად გადაიქცა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან

მოყოლებული, რეინკარნაციის შესწავლას მრავალმა სერიოზულმა მეცნიერმა მოჰკიდა ხელი. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევათა შედეგებმა, ჯერჯერობით, ვერ შეძლეს რეინკარნაციის საბოლოოდ დადასტურება ან უარყოფა, აღმოჩენილი ფაქტები განსაცვიფრებელია და დამაფიქრებელი. თეორია

ზემოთაც ვახსენე, რომ რეინკარნაციის მოდელი სხვადასხვა შეხედულებებით სხვადასხვაა. ბუდისტური ტრადიციით, რეინკარნაციის საფუძველი, ეგრეთ წოდებული, კარმაა. ეს კარმა რთული ცნებაა და იგი შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ბედ-იღბალი, რომელიც დავიმსახურე. ამავე დროს, კარმა იმგვარი ხვედრია, რომელიც ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი და აღსრულებული. თეორია ამბობს, რომ ყოველმა ჩვენგანმა გარკვეული, წინასწარდასახული გზა უნდა გაიაროს და რაღაც მიზანს მიაღწიოს. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად ხდება სულის მოსვლა მიწაზე. თუკი მე მიწიერ ცხოვრებაში სწორად მოვიქცევი და არაფერს დავაშავებ, ჩემი გადასვლა-გადმოსვლის პროცესი მალე დასრულდება, გავნათლდები და კარმასაც აღვასრულებ. თუკი ცუდად მოვიქცევი, საჯარიმო ქულები დამეწერება და დამატებით წრეზე, - უფრო დაბალ დონეზე რეინკარნაციაში წავალ. სული ისე უნდა მოიქცეს, რომ რაც შეიძლება, ნაკლები საჯარიმო ქულა დაიწეროს და მალევე შეეცადოს კარმის აღსრულებას. მოკლედ, კარმა დამსახურების მიხედვით იცვლება. ამგვარია რამდენიმე ფრაზით თქმული რეინკარნაციის არსი. ბოლოს რა იქნება, ამაზე რელიგიები და ფილოსოფოსები პირში წყალს იგუბებენ. არ შევუდგები ნიუანსების გარჩევას, რადგანაც ეს ნიუანსები იმდენია, რამდენი შეხედულებაც არსებობს. მხოლოდ ერთ თანამედროვე მიმდინარეობაზე მინდა გავამახვილო ყურადღება. თავის დროზე ცნობილი ფსიქოლოგის - კარლ გუსტავ იუნგის გავლენით, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფსიქიკის შეუცნობ ფენომენებს, მრავალი მეცნიერი შეუდგა ამგვარ ფენომენტთა შესწავლას. იუნგმა საზოგადო არაცნობიერი აღმოაჩინა. პაციენტებთან მუშაობის შედეგად იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ჩვენში არა მხოლოდ ჩვენი ერთეული ცხოვრების მოგონება არსებობს, არამედ შეფარულია ცნობიერების კიდევ ერთი, უცნობი შრე. ამ შრეში თითქოს კაცობრიობის უზოგადესი გამოცდილებაა დაგროვილი. ჩვენ არ გვჭირდება უამრავი რამის სწავლა, რადგანაც ეს ცოდნა წინასწარვე არის ჩვენში მოცემული და ჩვენს ქცევაზე მოქმედებს. იგი არქეტიპულია, პირველსახოვანი და აფრიკელსაც ისევე აქვს, როგორც ნიუ-იორკის მოქალაქეს, ჩინელს ან სომეხს. მოკლედ, ეს არქეტიპული ცოდნა ყველასთან ერთია. მოგვიანებით, ეგრეთ წოდებული ახალი დროის, ანუ New Age-ის ფილოსოფოსებმა, ფსიქოლოგებმა, ბიოლოგებმა, ფიზიკოსებმა და უბრალოდ მიმდევრებმა, ეს აზრი გაითავისეს და ამ საზოგადო ცნობიერების შესწავლას მიჰყვეს ხელი. აღმოჩნდა, რომ გარვეულ სიტუაციებში ეს არაცნობიერი ფენა ადამიანს გარდაეხსნება და გამომზეურდება. სწორედ ამ ახალი დროის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ საქმე, კარმასა და ჰინდუთა მიერ ჩამოყალიბებულ რეინკარნაციის მოდელში კი არა,

საზოგადო არაცნობიერშია, რომლიდანაც გამოდის სული დაბადებისას და ისევ უკან უბრუნდება მას სიკვდილის შემდეგ. დავიმახსოვროთ ეს მიმდინარეობა, რადგანაც იგი დღეს სერიოზულ როლს ასრულებს და ჩვენ მას ქვემოთ

კიდევ

შევეხებით.

კრიტიკა

ზემოთ ვახსენე, რომ ბუდისტებს დავუბრუნდებოდი. ისინი და ჯაინისტები სრულად აღიარებენ რეინკარნაციის "ცხოველურ" ვარიანტს. ამ მიმდინარეობებში განვითარება, როგორც ასეთი, არ არსებობს, ყველაფერი წრებრუნვია. დღეს სული შეიძლება კურდღელში მოვიდეს, ხვალ რაჯასტანის მეფის სხეულში, ზეგ ბზიკში, მაზეგ კი ღორჯოში და ასე უსასრულოდ. ნახსენებ რელიგიურ შეხედულებათა მიმდევარნი, ცდილობენ დაამკვიდრონ რეინკარნაციის იდეა, როგორც უბრალო, ყოველდღიური რამ. ბუდისტები, განსაკუთრებით, მათი ტიბეტელი წარმომადგენლები, ამ მხრივ ოდნავ გამაღიზიანებლადაც კი მოქმედებენ, როდესაც მთელი თავისი ქცევით გარშემო მყოფთ მიანიშნებენ, ჩვენ მეტი ვიცითო. სინამდვილეში, მათ ნამდვილად არ იციან მეტი, რადგანაც მეტის ცოდნა არსებობის აზრის ცოდნას ნიშნავს და თუკი ბუდისტები სამსარის ანუ ბედის ბორბლის უაზრობას ამტკიცებენ, ამ აზრამდე დასავლეთი კარგა ხანია მივიდა და ამაში ახალი არაფერია. აი, ბუდისტებს რომ სცოდნოდათ, თუ რა მიზანი აქვს ამ მთელ რეინკარნაციებს და ბოლოს ნირვანაში, ანუ არარაში გახსნის გარდა, თუ მართლა კეთილი რამ გველოდება, მაშინ კიდევ შეიძლებოდა მათი სერიოზულად მოსმენა და მიღება, მაგრამ, როდესაც მხოლოდ იმას გეუბნებიან, შეეცადე განათლდე, რომ აქ აღარ მოხვიდეთ, ისიც უნდა გითხრან, თუ სად წახვალ და რას გააკეთებ. ეგრე ძველ აღთქმაშიც წერია "ამაოებათა ამაოებაო", მაგრამ ეს არავის მატებს ძალას, კაცურად გადაიტანოს ეს უბადრუკი ცხოვრება და მართლაც რაიმეს იმედი ჰქონდეს. მოკლედ, კარმული რეინკარნაციის რელიგიური პრობლემა მისი აბსოლუტური უაზრობა და უმიზნობაა. ეს იმას ჰგავს, თითქოს მატარებლით მივემგზავრებოდეთ, არც საბოლოო დანიშნულება ვიცოდეთ, არც ის, რატომ ვსხედვართ ამ მატარებელში, ვინ ჩავგვსვა მასში და გამცილებელი მხოლოდ იმას გვიხსნიდეს, თუ რა გველოდება უახლოეს ორ-სამ გაჩერებაზე, სადაც ურჩ მგზავრებს დროებით

ჩამოსხამენ.

შევხედოთ ამ პრობლემას უფრო დაწვრილებით. ადამიანი იმედით ცოცხლობს. იმედით, რომ ან ამ ცხოვრებაში ერგება უკეთესი იღბალი, ან საიქიოს მიაღწევს სასურველს. ყოველი ჩვენგანი პიროვნებაა თავისი სურვილებით, სწრაფვებით, სიმპათიებითა და ანტიპათიებით. თუ მე ხშირ-ხშირად მიწევს ამქვეყნად სხვადასხვა სამოსელში მოსვლა, ისიც უნდა ვიცოდე, თუ რატომ და რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ამბავი. ბუდისტური და სხვა ბევრი ეზოთერიკული გაგებით, ეს მთელი ჩემი სურვილები, სიყვარული, სიძულვილი, ლტოლვა და ასე შემდეგ არაფერი, ხარახურა ყოფილა და, როდესაც გარდავიცვლები, მათ დავკარგავ (სხვა შეხედულებით, ეს ყველაფერი

ამოიშანთება განსაწმედელის ცეცხლით). მაშინ საკითხავია, რომელი ჩვენგანი ღირს კაცად, თუ მან დაკარგა ეს გრძნობები? რა კაცია, ვისაც ცოლი და შვილი არ უყვარს, პატივს არავის მიაგებს, არაფრისათვის არ შესტკივა გული და მხოლოდ საკუთარ ცხოვებაზე ფიქრობს? ასეთი ტიპი, კაცი კი არა არაკაცია! უფრო ამაღლებული ენით თუ ვიტყვით, ადამიანს თუ საკუთარი "მე"-ს მნიშვნელოვანი ნაწილების დატოვება უწევს, მაშინ ეს "მე", "მე" აღარ არის, არამედ ნირვანაში გათქვეფილი ამორფული სულია და მის მთელ ამ მიწიერ ტანჯვა-წამებას არავითარი მიზანი არ ჰქონია. ყოველ შემთხვევაში, მისთვის მაინც. რეინკარნაციის მომხრენი ხშირად გვამშვიდებენ, რომ ეს აზრი კოსმოსს, ღმერთს ან აბსოლუტს აქვს და ჩვენ მას ვერ შევწვდებითო. ნეტავ, ასე იყოს და სამყაროში მართლაც იდოს რაიმე აზრი! სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ამ მიმართებით მთელი ჩვენი ფილოსოფირება ვარაუდებზე და რწმენაზეა აგებული, ანუ წმინდა მეტაფიზიკაა. რაც ფიზიკასა და საერთოდ მეცნიერებას შეეხება,

კვლევა

მეცნიერებაში მიღებული შეხედულებებით, რეინკარნაცია ჯერაც დაუდასტურებელია, თუმცაღა უნდა ვაღიაროთ, რომ მის დასადასტურებლად მოპოვებულ ფაქტთა რაოდენობა მეცნიერების რამდენიმე დარგს დააფუძნებდა. იმას, რომ რეინკარნაცია არ არის აღიარებული, მრავალი მიზეზი აქვს, რომელთა ჩამოთვლასაც აქ არ შევუდგები. მთავარი ის არის, რომ დიდი ძალდატანებისა და დაცინვამდე მისული კრიტიკის მიუხედავად, ზოგიერთი მეცნიერი მაინც ახერხებს ექსპერიმენტების ჩატარებას და საკითხს საფუძვლიანად იკვლევს.

დარგის მებაირახტრე ვირჯინიის უნივერსიტეტში მოღვაწე მხცოვანი ფსიქოლოგიის პროფესორი იან სტევენსონია, რომლის მხოლოდ ტიტულთა და სიგელ-გუჯართა ჩამოთვლაც კი მთელ ნაბეჭდ გვერდს იკავებს. სტევენსონმა არ მიაქცია ყურადღება კრიტიკასა და დაცინვას, შეადგინა საკვლევო გეგმა და საქმეს მოჰკიდა ხელი. ეს, დაახლოებით, 40 წლის წინათ მოხდა. მას შემდეგ ამ მეცნიერმა ათეულობით სამეცნიერო სტატია და მრავალი მონოგრაფია გამოაქვეყნა რეინკარნაციის შესახებ. სტევენსონის მთელი კვლევის არსი დაიყვანება მარტივ კავშირზე: იგი პოულობს ადამიანებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ხელმეორედ მოვიდნენ მიწაზე, ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს მათი მონათხრობი და ადგენს, თუ სხვა რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს მოცემულ შემთხვევას. თუკი ამ შემთხვევას არც პრაქტიკულად და არც თეორიულად არ შეიძლება რაციონალური ახსნა მიესადაგოს, მაშინ ერთადერთი გამოსავალი რეინკარნაციის იდეის მიღებაა. რასაკვირველია, სტევენსონის კვლევა ასე მარტივად არ გამოიყურება, მაგრამ ფაქტია, რომ მას ასეულობით შემთხვევა აქვს დადგენილი და დადასტურებული სხვადასხვა ქვეყანაში, როდესაც მხოლოდ რეინკარნაცია შეიძლება იყოს ცოდნის გადაცემის მექანიზმი. მკითხველს რომ წარმოდგენა შეექმნას, სტევენსონის კვლევიდან ერთ

განზოგადოებულ მაგალითს მოვიყვან. მიყრუებულ სოფელში ცხოვრობს უწიგნური ბავშვი, რომელიც ამტკიცებს, რომ წინა ცხოვრებაში ასობით კილომეტრის მოშორებით იცხოვრა და ახალგაზრდულ ასაკში გარდაიცვალა. იგი აღწერს სახლ-კარს და ნივთებს, სახელებს ადამიანებს, რომელთაც იცნობდა, სხვა მოვლენებსა და გარემოებებს. მკაცრი მეცნიერული შემოწმება ადგენს, რომ ბავშვის მონაყოლი რეალურ ფაქტებს შეესაბამება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ბავშვს არანაირი ამქვეყნიური წყარო არ შეიძლება ჰქონოდა მთელი ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად. თავის ერთ-ერთ წიგნში სტევენსონი გვიჩვენებს, რომ წარსულ ცხოვრებაში მიღებული სხეულის სასიკვდილო დაზიანებანი, ჭრილობა, მოტეხილობა, ნატყვიარი და ასე შემდეგ, ახალ ცხოვრებაში ტანზე არსებული დეფექტების სახით იჩენს თავს. მეცნიერი ამგვარი ფაქტების დამადასტურებელ წყალშეუვალ არგუმენტებსაც პოულობს. სტევენსონის უდიდესი პლიუსი მისი ავტორიტეტია. იგი უაღრესად სერიოზულ მეცნიერად მიიჩნევა და მას დაცინვასა და კრიტიკას ბევრი ვერ უბედავს. იან სტევენსონის კვალს ბევრი მეცნიერი დაადგა. მათ შორის დავასახელებდი ბრუს გრეისონს, ჯიმ თაკერს. ასევე მნიშვნელოვან კვლევას ეწევიან ქრისტოფერ ბეჩე, ჰელენ უომბაჩი, რონალდ ციურერი.

მეცნიერული კვლევის მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება, ეგრეთ წოდებული, რეინკარნაციული უკუსვლაა. ამ ცნებაში იგულისხმება ფსიქოთერაპიული ტექნიკა, როდესაც მკურნალს პაციენტი ჰიპნოზის ან სხვა მეთოდის მეშვეობით წინა ცხოვრების მოგონების საშუალებას უქმნის. ამგვარი სეანსებისას ადამიანები უცებ ხვდებიან სხვა გარემოში, იხსენებენ გარდასულ მოვლენებს, დეტალებში აღწერენ მათ, იწყებენ უცნობ ან სულაც მკვდარ ენებზე ლაპარაკს. შედეგები ამ მიმართულებითაც განსაცვიფრებელია. ბევრი მეცნიერი, თუკი ამის საშუალება არსებობს, ამოწმებს ჰიპნოზურ ტრანსში მყოფი პაციენტის მოყოლილ ინფორმაციას, რომელიც, როგორც წესი, სინამდვილეს შეესაბამება. აქაც ერთ განზოგადებულ მაგალითს მოვიყვან. ფსიქოთერაპევტ მორის ნეთერტონის ერთ-ერთ სეანსზე პაციენტი ქალი ამტკიცებდა, XX საუკუნის დასაწყისში ნიუ-იორკში მსახიობი ვიყავი, გავლოთდი და თავი ჩამოვიხრჩეო. იგი თავის მაშინდელ სახელსა და გვარსაც ასახელებდა. გადამოწმებისას, ყველა მონაცემი დაემთხვა სინამდვილეს. ისიც შემოწმდა, თუ რამდენად შესაძლებელი იყო პაციენტის მიერ ამ ინფორმაციის სხვა გზით მიღება. საბოლოოდ, რეინკარნაციის გარდა, ყველა სხვა ვარიანტი გამოირიცხა.

ამ მიმართულებით მომუშავე მეცნიერებიდანაც დავასახელებ რამდენიმეს, რომელთა სერიოზულობასა და წესიერებაში ეჭვის შეტანაც ძნელია. პირველ რიგში, ეს არის მიუნხენელი ფსიქოლოგი თორვარდ ლეტლევსენი, ამერიკელები მორის ნეთერტონი, ნენსი შიფრინი, მაიკლ ნიუტონი, იაპონელი მისტიკოსი და ფსიქოლოგი ჰიროში მოტოიამა, გერმანელი ფსიქოთერაპევტი რუდიგერ დალკე, ფსიქოლოგი იან უილსონი, აწ გარდაცვლილი გერმანელი

მეცნიერი ჰანს ბენდერი და მის გარშემო შეკრებილ მეცნიერთა გუნდი. 2003 წლის ივნისში ჰოლანდიის ქალაქ ზაისტში დაგეგმილია ამ საკითხის სპეციალისტთა დიდი თავყრილობა. ამ მიმართულებით მეცნიერულ კვლევაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ამჟამად ამერიკაში მოღვაწე ჩებ მეცნიერს - სტანისლავ გროფს. იგი თავდაპირველად კარლ გუსტავ იუნგის ექვებს იზიარებდა, რომ ცნობიერ-ქვეცნობიერის ფროიდისეული დინამიკა ბევრ ფსიქიკურ ფენომენს ვერ ხსნის და გადაწყვიტა, საზოგადო არაცნობიერის საკითხებზე ემუშავა. მრავალწლიანი კვლევის შედეგად გროფი მივიდა დასკვნამდე, რომ ჩვენს ფსიქიკაში შეფარულია სიღრმული შრეები, რომელთა არსებობაც სხვა არაფრით აიხსნება, თუ არა რეინკარნაციის ან მსგავსი მოვლენის არსებობით. ამ შედეგებს გროფი, ეგრეთ წოდებული, შეცვლილი ცნობიერების მდგომარეობით აღწევს და ხშირად ჰიპნოზისა და სხვა მეთოდების გარდა, ლიზერგინის მჟავასაც ხმარობს. მას, კენ უილბერთან ერთად, New Age-ის ერთ-ერთ წამყვან იდეოლოგად მიიჩნევენ. დიდი აურზაური გამოიწვია რეინკარნაციის მკვლევართა შორის, ეგრეთ წოდებული, სიკვდილთან მიახლოებული მდგომარეობის კვლევამ. დღეს მსოფლიოს უამრავ სამეცნიერო დაწესებულებაში ასეულობით მეცნიერი იკვლევს ამ ფენომენს. არსებობს საერთაშორისო ცენტრები, პერიოდიკა, ტარდება კონფერენციები და სიმპოზიუმები. ფართო საზოგადოებისათვის ეს ინფორმაცია ამ 20-30 წლის წინათ გახდა ცნობილი ექიმისა და ფილოსოფოსის - რაიმონდ მუდის წიგნებით, რომლებიც ჩვენშიც არის ცნობილი. მუდის გარდა, ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით წარმოშობით შვეიცარელ ფსიქიატრ ელიზაბეთ კუბლერ-როსს, ამერიკელ ფსიქოლოგ კენეთ რინგს, კარდიოლოგ მაიკლ საბომს, სოციოლოგ კრეიგ ლუნდალს, პედიატრ მელვინ მორზს, ფსიქიატრ მიხაელ შროტერ-კუნჰარდტს და ბევრ სხვა მეცნიერს. ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგები 2001 წლის დასასრულ ცნობილ ინგლისურ სამედიცინო ჟურნალ The lancet-შიც კი გამოქვეყნდა. ეს შედეგები ეყრდნობოდა ჰოლანდიის რამდენიმე ათეულ საავადმყოფოში პროფესორ პიმ ვან ლომელის თაოსნობით მოქმედ ექიმთა გუნდის მიერ ჩატარებულ 12-წლიან ექსპერიმენტს. ამ გამოკვლევამ ცალსახად დაგვანახვა, რომ სიკვდილთან მიახლოებულ მდგომარეობაში წარმოქმნილ მოგონებებს ტვინთან და ფანტაზიებთან არაფერი აქვთ საერთო და სხვა წყაროდან მომდინარეობენ. რეინკარნაციას, "სასაზღვრო ზოლის" სხვა ფენომენებთან ერთად, იკვლევენ ასევე ბიოლოგები, ბიოფიზიკოსები, კვანტური ფიზიკის, სისტემური თეორიის სპეციალისტები და ბევრი სხვა მეცნიერი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ამგვარი სამეცნიერო საკვლევო პროექტებიდან საინტერესოა NASA-ს, გერმანიის ქალაქ ფრაიბურგის სასაზღვრო მეცნიერებათა, ფსიქოლოგიისა და ფსიქოპიგიენის ინსტიტუტის, ედინბურგის უნივერსიტეტის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რამდენიმე სხვადასხვა ინსტიტუტის საქმიანობა ნოვოსიბირსკში, პეტერბურგში, მოსკოვში. ამ მიმართულებით საინტერესოა,

ასევე, ცნობილი ფიზიკოსის, აწ გარდაცვლილი დავიდ ბომის, ბიოლოგ რუპერტ შელრეიკის, სისტემურ მეცნიერებათა სპეციალისტის - ერვინ ლასლოს, მათემატიკოსისა და ფიზიკოსის - როჯერ პენროუზის მოსაზრებები. რასაკვირველია, ძლიერია რეინკარნაციის კრიტიკოსთა პოზიციებიც. პირველ რიგში, რეინკარნაციის იდეის გავრცელებას ეკლესია ებრძვის. გარდა ამისა, მეცნიერთა უმრავლესობა არ იზიარებს აზრს, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანისაგან საერთოდ რაიმე რჩება და ამიტომაც რეინკარნაციას შეუძლებლად მიიჩნევს. ამასთან ერთად, ეს მეცნიერები ვერაფრით ხსნიან უამრავ ფენომენს, რომელიც ჩვენს გარშემო ყოველდღიურად ხდება. ამგვარი მდგომარეობა არ იწვევს გაკვირვებას, რადგანაც ცნობილია, თუ რამდენად კონსერვატიულია დამკვიდრებული მეცნიერება. რეინკარნაციის მოწინააღმდეგე მეცნიერთა ნაწილი ეყრნობოდა არგუმენტს, რომ სინამდვილეში სული კი არ გადასახლდება, არამედ გენეტიკურ კოდს გადააქვს გარკვეული ინფორმაცია და ამიტომაც აგონდებით ადამიანებს გარდასული სიცოცხლეები. ეს არგუმენტი უსუსური აღმოჩნდა, რადგანაც მოგონებათა ნაწილი ისეთ პერიოდებსა და ეპოქებს ეხებოდა, როცა პაციენტის მშობლები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ და სულ სხვა ადგილას ცხოვრობდნენ. მოგონება კი იმგვარ მოვლენებს ეხებოდა, რომლებსაც მშობლები ვერ დაესწრობდნენ ან რომლის შესახებაც ვერაფერს შეიტყობდნენ. როდესაც პაციენტი იგონებს, რომ წინა ცხოვრებაში მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა ჯარისკაცად გერმანიის მხრიდან და მისი ახლანდელი მამა მაშინ თორმეტი წლის ბიჭი იყო სამხრეთ ამერიკაში, ძნელია თქმა, რომ ამ პაციენტმა გენეტიკური კოდით შეიტყო დაწვრილებითი ინფორმაცია საბრძოლო შენაერთის გადაადგილებაზე, მით უმეტეს, რომ ეს შენაერთი არაფრით იყო გამორჩეული და მთლიანად განადგურდა. სხვები ტელეპათიასა და მსგავს ფენომენებს მიიჩნევენ ინფორმაციის გადამტან მექანიზმად. საბოლოო ჯამში, ეს კრიტიკაც უსაფუძვლო აღმოჩნდა, რადგანაც პაციენტები, ძირითადად, უბრალო ტელეპათიისა ან მსგავსი ფენომენალური თვისებით დაუჯილდოებელი ადამიანები არიან. ბევრი მათგანი განათლების დაბალი ცენზის მქონე პიროვნებაა. ის კი არა და, ზოგიერთმა წერა-კითხვაც არ იცის.

საბოლოოდ შეიძლება იმის თქმა, რომ რეინკარნაციის სერიოზული კვლევა მხოლოდ ახლახან დაიწყო და წინ კიდევ ბევრი საინტერესო აღმოჩენა გველის. ჩვენ შევეცდებით, მკითხველს მივაწოდოთ აქტუალური ინფორმაცია ამ და სხვა თემებზე "სასაზღვრო ზოლიდან". დაგეგმილია სიკვდილთან მიახლოებული მდგომარეობის შესახებ აქტუალური ინფორმაციის გამოქვეყნებაც.

გვინდა ვთხოვოთ მკითხველს, მოგვაწოდოს საკუთარი აზრი: განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა რეინკარნაციის დამასაბუთებელი არგუმენტები. ვთქვათ, ბავშვების საუბარი წინა ცხოვრების შესახებ, ან სხვა სახის მოგონება. ასევე, საინტერესოა ჩვენთვის ეგრეთ წოდებული სიკვდილს მიახლოებულთა

მოგონებები, რელიგიური ექსტაზისას მიღებული გამოცდილება და ამდაგვარი ფენომენები. ჩვენი ფსიქოლოგები და სხვა სპეციალისტები შეამოწმებენ ყველა თქვენს მიერ მოწოდებულ ფაქტს, გაგიწევენ კონსულტაციას, დაგეხმარებიან რეალურისა და გამოგონილის ერთმანეთისაგან განსხვავებაში. განსაკუთრებით საინტერესო მოსაზრებები გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

ლევან გველესიანი (ანუ მის სხეულში მოსული უცნობი სული) 2003 წლის იანვარი